ასლი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ქ.ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის

ბრძანება№47

ქ.ფოთი, 2009 წლის 3 დეკემბერი

ექსტერნის ფორმით ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეული კლასების/ტრიმესტრის გამოცდების ჩატარების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 1 მარტის №155 ბრძანებით დამტკიცებული „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერთიფიცირების დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “გ“ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის და „ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 ნოემბრის ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაშვებულ იქნენ ექსტერნატის ფორმით საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეული კლასების გამოცდებზე შემდეგი ექსტერნები:

1. გივი რუსია, დაბადებული 1991 წელს, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურის მე-10 კლასის პროგრამა.
2. სერგეი ნოსოვი, დაბადებული 1991 წელს, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურის მე-10 კლასის პროგრამა.
3. ირაკლი დოლიძე, დაბადებული 1992 წელს, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურის მე-10 კლასის პროგრამა.
4. როდიონ სტეპანიანი, დაბადებული 1992 წელს, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურის მე-10 კლასის პროგრამა.
5. ანასტასია დუბოვა, დაბადებული 1987 წელს, დაძლეული აქვს დაწყებითი საფეხურის (I-VI) პროგრამა.
6. გოგი წულაია, დაბადებული 1992 წელს, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურის პროგრამა.
7. მირიან თუნთია, დაბადებული 1986 წელს, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურის IX კლასის ყველა საგნის პროგრამა, გარდა ქართული ენისა და ლიტერატურისა.

2. დამტკიცდეს თითოეული ექსტერნისათვის კლასებისა და ტრიმესტრის ჩამონათვალი, რომლის დადასტურება უნდა გახორციელდეს ექსტერნატის ფორმით:

1. გივი რუსია – XI კლასის და XII კლასის I ტრიმესტრის პროგრამა (ეტაპობრივად, სწავლების ენა-რუსული);
2. სერგეი ნოსოვი- XI კლასის და XII კლასის I ტრიმესტრის პროგრამა (ეტაპობრივად, სწავლების ენა- რუსული);
3. ირაკლი დოლიძე- XI კლასის და XII კლასის I ტრიმესტრის პროგრამა (ეტაპობრივად, სწავლების ენა- ქართული);
4. როდიონ სტეპანიანი- XI კლასის და XII კლასის I ტრიმესტრის პროგრამა (ეტაპობრივად, სწავლების ენა-რუსული);
5. ანასტასია დუბოვა- საბაზო საფეხურის პროგრამა (სწავლების ენა რუსული).
6. გოგი წულაია-X-XI და XII კლასის I ტრიმესტრის პროგრამა (ეტაპობრივად, სწავლების ენა – ქართული).
7. მირიან თუნთია- ქართული ენისა და ლიტერატურის IX კლასის პროგრამა(სწავლების ენა-ქართული).

3. ჩატარდეს ექსტერნატის წესით ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეული კლასების/ტრიმესტრების გამოცდები №4 საჯარო სკოლაში, მიმდინარე წლის 15 დეკემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით.
4. დაევალოს №4 საჯარო სკოლის დირექტორს (კ.სამურკასოვი) უზრუნველყოს გამოცდების ჩატარება „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერთიფიცირების დებულების“ მოთხოვნათა სრული დაცვით.
5. დაევალოს რესურსცენტრის სპეციალისტს (ნ.ღურჯია) ბრძანების ასლის გადაგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოსთვის, ასევე ბრძანების ასლისა და ექსტერნების დოკუმენტების გადაგზავნა №4 საჯარო სკოლაში.

ქ.ფოთის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსი
გოჩა ქორქია

გ. ქორქია

ა/დ სწორია